საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 229/ს
03/08/2022

229-21-4-202208031701

შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შუახევი-სხალთას შემაერთებელი 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შუახევი-სხალთას შემაერთებელი 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნა N 46;
2. შპს „აჭარისწყალი ჯორჯია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს N 46 სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და შუახევის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო